



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №1704

2015 წლის 12 ნოემბერი

ქ. მცხეთა

ნინო ჩინაშვილის და თამარ დავლიანიძე-ერონდიდის მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) 10.11.15წ. №1-1918 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნინო ჩინაშვილი და ამავე სამსახურის საქმისწარმოებისა და საინფორმაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, თამარ დავლიანიძე-ერონდიდი, 2015 წლის 13-15 ნოემბერს მივლინებულ იქნენ ბორჯომში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ ხელშეწყობით დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

2. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალოს ამავე სამსახურის საქმისწარმოებისა და საინფორმაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტს, ნატო იორდანიშვილს.

3. მივლინების ხარჯების ანაზღაურება მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი



ზურაბ აბესაძე